

საქართველოს კანონი  
„საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების  
რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს  
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №40. 2000წ., მუხ. 114) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. კანონის მე-2 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) გარემოს ეროვნული სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.“

2. კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონების საზღვრებს შეიმუშავენს გარემოს ეროვნული სააგენტო, რომელსაც შესაბამის დაინტერესებულ უწყებებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.“

3. IV თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი IV

გარემოს ეროვნული სააგენტო და ნაპირდაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

მუხლი 10. გარემოს ეროვნული სააგენტო

1. გარემოს ეროვნული სააგენტო არის ამ კანონისა და „საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 17 დეკემბრის №1061 ბრძანებულების შესაბამისად დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონითა და დებულებით.

2. გარემოს ეროვნული სააგენტო ამ კანონით რეგულირებული ურთიერთობების სფეროში:

ა) ადგენს სანაპიროს საინჟინრო ზონის დაცვის გენერალურ სქემებს, ნაპირდაცვის ჰიდროტექნიკური ნაგებობის პროექტებს;

ბ) ახორციელებს ნაპირდაცვის და ნაპირადგენის სამშენებლო საქმიანობების ორგანიზებას;

გ) ახორციელებს მონიტორინგს სანაპიროების საინჟინრო დაცვის ზონებში.

3. გარემოს ეროვნული სააგენტოს მცურავი საშუალებანი საქართველოს პორტებში დგომისას და მუშაობისას მომსახურების საფასურს იხდიან, როგორც სასამსახურო და სამეცნიერო-კვლევითი მცურავი საშუალებანი;

მუხლი 11. გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსების წყაროები

გარემოს ეროვნული სააგენტოს დაფინანსება ხორციელდება:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით;
- ბ) პროგრამული დაფინანსების სახსრებით;
- გ) საქართველოს კანონდამებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

**მუხლი 12. სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში იწვევს უარყოფითი ეფექტის მქონე ეროზიულ და აკუმულაციურ პროცესებს, ვალდებული არიან აანაზღაურონ მიყენებული ზიანი საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი